საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

ახალციხის საკრებულოს 2020 წლის საქმიანობის შეფასება

სარჩევი

შესავალი	3
თავი 1. ძირითადი მიგნებები	3
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ახალციხის საკრებულოს შესახებ	5
თავი 3. ცვლილებები ახალციხის საკრებულოში	7
თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა	8
თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი	10
თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები	11
თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	12
თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	14
თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა	15
თავი 10. საკრებულოს ხარჯები	16
რეკომენდაციები	20

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" აფასებს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წელს გაწეულ საქმიანობას.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2020 წელს.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" შარშან ახალციხის საკრებულოს 2017-2019 წლების საქმიანობაც შეაფასა.

თავი 1. ძირითადი მიგნებები

- ახალციხის საკრებულო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღმასრულებელ ორგანოზე სუსტზედამხედველობას ახორციელებდა, ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა თუ ცალკეულ უწყებათა კონტროლი უმეტეს შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა;

- საკრებულოს ან მის ფრაქციებს/კომისიებს აღმასრულებელი ორგანოს წარმომად-გენლები რაიმე საკითხის განსახილველად არ მიუწვევიათ;

- ახალციხის საკრებულოს ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები არ გამოუვლენია;

- 2020 წელს, საკრებულომ 14 სხდომა გამართა და დღის წესრიგით გათვალისწინებული 78 საკითხი განიხილა, მათ შორის კენჭისყრაზე 64 საკითხი გავიდა და 64-ვე უცვლელი სახით მიიღეს.

- საკრებულოს ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ 36 სხდომა გამართა და 65 საკითხი განიხილა, მათ შორის კენჭისყრაზე 62 საკითხი დადგა და, გარდა ერთისა, დეპუტატებმა ყველა ერთხმად მიიღეს. ერთადერთი საკითხი, რომელზეც კომისიამ დადებითი დასკვნა არ დაწერა და მერიას უკან გადაუგზავნა, ახალი ააიპ-ის დაფუძნება იყო. თუმცა, აღნიშნული საკითხი ახალციხის მერმა წლის ბოლო, რიგგარეშე სხდომაზე (შესაბამისი კომისიისა და ბიუროს სხდომებზე განხილვის გარეშე) გაიტანა და დეპუტატებმა ერთხმად ისე მიიღეს, რომ არცერთი შეკითხვა არ დაუსვამთ.

- ახალციხის 33 დეპუტატიდან 21 საკრებულოს არცერთ სხდომაზე არ გამოსულა სიტყვით. მათ არც აზრი გამოუთქვამთ და არც მოხსენების უფლებით უსარგებლიათ.

- ახალციხის საკრებულოს 18 თანამდებობის პირიდან 5-მა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია არასრულად შეავსო.

- საკრებულოში მოქმედი ხუთი ფრაქციიდან ინიციატივა არცერთ მათგანს წარუდგენია. ფრაქციების მიერ გაწეული საქმიანობისთვის ჯამში 178,934.4 ლარი დაიხარჯა.

- გენდერული თანასწორობის საბჭოს, 2020 წელს, არც სამართლებრივი აქტების პროექტების ანალიზი განუხორციელებია, არც გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებების მონიტორინგის სისტემის შემუშავებაზე უმუშავია და არც რეკომენდაციები მოუმზადებია.

- საკრებულოში გამართული 14 სხდომა დეპუტატებმა 136-ჯერ გააცდინეს, მათ შორის 126 - არასაპატიო მიზეზით. რაც შეეხება კომისიების სხდომებში მონაწილეობას, ჯამში გამართულ 36 სხდომაზე 122 გაცდენა დაფიქსირდა და მათ შორის მხოლოდ 2 - საპატიო მიზეზით.

- 2020 წელს ახალციხის საკრებულოს ხარჯებმა ჯამში 636,711.02 ლარი შეადგინა. ამ თანხიდან 555,098.77 ლარი ხელფასებისთვის გაიწერა.

- ერთ წელში საკრებულომ 36,045.87 ლიტრი საწვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც 64,681.26 ლარი შეადგინა, აქედან ყველაზე მეტი 4,739.68 ლიტრი საწვავი (ჯამური ღირებულებით - 8,052.32 ლარი) საკრებულოს თავმჯდომარემ გახარჯა.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ახალციხის საკრებულოს შესახებ

ახალციხის საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, აგრეთვე, კანონით დადგენილ ფარგლებში, კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოსა და ამ ორგანოს თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ახალციხის საკრებულოში 33 წევრია. მათგან 18 მაჟორიტარული წესით აირჩევა, 15 კი - პროპორციული წესით.

საკრებულოში ოპოზიციურ პარტიებს სულ 5 წევრი ჰყავთ, მათ შორის 3 - „ევროპულ საქართველოს“, 2 კი - „ნაციონალურ მოძრაობას“. ხუთივე მათგანი საკრებულოში პროპორციული სიით შევიდა.

ახალციხის საკრებულოში 7 ქალია, მათგან 3-ს თანამდებობა უკავია.

საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიებს.

ახალციხის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია 5 კომისიაა:

1. იურიდიულ, სამანდატო საკითხთა და ეთიკის კომისია - თავმჯდომარე ვლადიმერ კურტანიძე;
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე მანანა ბალიაშვილი;
3. სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე ამბარცუმ ბაბოიანი;
4. ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ბესიკ გოგსაძე;
5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია - თავმჯდომარე ვასილ სისვაძე.

საკრებულოში ფუნქციონირებს 5 ფრაქცია:

ფრაქცია	თავმჯდომარე
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო-ახალციხე”	გიორგი გვარამაძე
„განვითარებული ახალციხე”	ირინა გელაშვილი
„ქართული ოცნება-კონსერვატორები“	არუთუნ აგაბაბიანი
„ქართული ოცნება-მრეწველები“	გიორგი ბეროშვილი
“ქართული ოცნება-ახალციხე”	სამველ ოვეიანი

ყველა ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე. მათ შორის ორი მოადგილე ჰყავს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო -ახალციხეს" თავმჯდომარეს.

ჯამში ახალციხის საკრებულოს 33 წევრიდან თანამდებობას 18 იკავებს.

საკრებულოს სხდომები:

საანგარიშო პერიოდში სულ საკრებულოს 14 და ბიუროს 10 სხდომა გაიმართა. ქვორუმის არარსებობის გამო არცერთი სხდომა არ ჩაშლილა. საკრებულოს 14 სხდომიდან 4 რიგგარეშე იყო.

2020 წელს, საკრებულომ დღის წესრიგით 78 საკითხი განიხილა, მათ შორის 27 დადგენილების და 37 განკარგულების პროექტი დაამტკიცა. შესაბამისად, კენჭისყრაზე სულ 64 საკითხი გავიდა, 14 კი ცნობად მიიღეს. საკრებულოში წარდგენილი 27 დადგენილებიდან 26-ის პროექტის ავტორი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, ზაზა მელიქიძე იყო, ერთის კი - იურიდიული კომისია. საკრებულოს უმრავლესობამ 64-ვე საკითხს მხარი დაუჭირა.

დეპუტატებმა ერთხმად დააფუძნეს **ააიპ „ახალციხის სერვის ჯგუფიც"**, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს სხდომაზე გატანამდე ამ საკითხს იურიდიულმა კომისიამ დადებითი დასკვნა არ მისცა და მერიას დაუბრუნა. ახალი ააიპ-ის დაფუძნებით, 2017 წლიდან მოქმედი, შპს „კეთილმოწყობის" ფუნქციების დუბლირება ხდებოდა. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტში ამავე პროფილის კიდევ ერთი იურიდიული პირი, შპს „სერვისიც" არსებობს. მიუხედავად ამისა, დეპუტატებმა ახალი ააიპ-ი ერთხმად ისე დაამტკიცეს, რომ ერთ მათგანსაც არ უკითხავს, რა უნდა აკეთოს მუნიციპალიტეტში სამმა, ერთი და იმავე პროფილის იურიდიულმა პირმა.

ერთი წლის განმავლობაში საკრებულოს 33 დეპუტატიდან 21-ს აზრი არასდროს გამოუთქვამს და არც შეკითხვა დაუსვამს.

საკრებულოს წინაშე მოხსენებით მხოლოდ 6 წევრი წარსდგა, 28-ს კი ეს უფლება ერთი წლის განმავლობაში არ გამოუყენებია.

ერთი წლის განმავლობაში, საკრებულოში კენჭისყრაზე გატანილი 64 საკითხიდან მხოლოდ 4-ს მისცა ხმა წინააღმდეგ მმართველი პარტიის ორმა დეპუტატმა: მანანა ბალიაშვილმა 2-ჯერ კონკრეტული ფიზიკური პირებისთვის ქონების იჯარის ფორმით გადაცემას არ დაუჭირა მხარი, ამბარცუმ ბაბოიანმა კი მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცებას და დაბალი ფასის გამო, ხელოვნური ტბის მიმდებარედ კონკრეტული ტერიტორიის პრივატიზების საკითხს.

ახალციხის საკრებულომ სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს დასკვნების მოსამზადებლად 4 სამართლებრივი აქტი გაუგზავნა, შენიშვნები დეპუტატებმა ყველა შემთხვევაში გაითვალისწინეს.

თავი 3. ცვლილებები ახალციხის საკრებულოში

2020 წლის 22 მაისს საკრებულოს ერთ-ერთი ფრაქცია -„ქართული ოცნება - მწვანეები“, რომლის თავმჯდომარეც თამარ გოგოლაძე იყო, დაიშალა. ფრაქციის ორმა წევრმა, არჩილ უჩიძემ და მკრტიჩ გინოსიანმა ფრაქციის დატოვების შესახებ განცხადებები დაწერეს, კანონმდებლობის შესაბამისად, ფრაქცია ერთი კაცით ვეღარ იარსებებდა.

25 აგვისტოს საკრებულოში ახალი ფრაქცია „ქართული ოცნება - ახალციხე“ შეიქმნა. მის თავმჯდომარედ სამველ ოვეიანი დაინიშნა, მოადგილედ კი - არჩილ უჩიძე. ახალი ფრაქციის შექმნით, ახალციხის საკრებულოს ერთი თანამდებობის პირი დაემატა, რადგან გაუქმებულ ფრაქციას თავმჯდომარის მოადგილე არ ჰყავდა.

აღსანიშნავია, რომ გაუქმებული ფრაქციის თავმჯდომარე, თამარ გოგოლაძე ახალციხის მერის, ზაზა მელიქიძის კრიტიკით გამოირჩეოდა. მას შემდეგ, რაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ახალციხის მერის შესაძლო კორუფციული საქმიანობის შესახებ კვლევა გამოაქვეყნა, გოგოლაძე ერთადერთი დეპუტატი იყო, რომელიც საკრებულოს და კომისიების სხდომებზე აღნიშნულის გამო პროტესტს ხმამაღლა გამოთქვამდა, მერს უნდობლობას უცხადებდა და მიაჩნდა, რომ აღმასრულებელ ორგანოში აუდიტი უნდა შესულიყო.

ახალციხის საკრებულოში კიდევ ერთ ფრაქციას შეეხო ცვლილება: „ევროპულმა საქართველომ - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ 12 ნოემბერს სახელწოდება შეიცვლა და „განვითარებული ახალციხე“ დაირქვა.

თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა

საკრებულოს კომისიების საქმიანობა:

ახალციხის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 36 სხდომა გამართა. ქვორუმის არარსებობის გამო არცერთი კომისიის სხდომა არ ჩაშლილა.

საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა				
იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	საფინანსო -საბიუჯეტო კომისია	სოციალურ საკითხთა კომისია	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია
9 სხდომა	8 სხდომა	9 სხდომა	4 სხდომა	6 სხდომა

ყველა სხდომაზე ერთად დღის წესრიგით 65 საკითხი გავიდა, მათ შორის 3 ცნობის სახით იყო წარმოდგენილი. 62 საკითხი კი კენჭისყრაზე დადგა და აქედან 61 ერთხმად მიიღეს, თუმცა მათ შორის ერთ საკითხში, რომელიც 2021 წლის ბიუჯეტის პროექტს და 2021-2024 წლების პრიორიტეტებს ეხებოდა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ცვლილებები შეიტანა.

ერთადერთი საკითხი, რომელიც წარმოდგენილი სახით არ დაამტკიცეს, იურიდიულ კომისიაზე გატანილი ახალი ააიპ „ახალციხის სერვის ჯგუფის" დაფუძნება იყო. კომისიის წევრების შეკითხვებზე: თუ როგორ გაიმიჯნებოდა ფუნქციები ორი ერთი და იმავე პროფილის იურიდიულ პირს ააიპ „ახალციხის სერვის ჯგუფსა" და შპს „კეთილმოწყობას" შორს, ან რატომ იყო ახალი ააიპ-ის მისამართად მითითებული ახალციხის ადმინისტრაციული შენობა, სადაც რეალურად თავისუფალი სივრცე არცერთ სამუშაო ოთახში არაა, ვერც ახალციხის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, ევა იველაშვილმა, ვერც მერის მოადგილემ, გურამ მელიქიძემ და ვერც თავად მერმა, ზაზა მელიქიძემ უპასუხა. მერის თხოვნით, საკითხი კენჭისყრაზე არ გაიტანეს და მერიას დაუბრუნეს. თუმცა, ეს საკითხი მერმა წლის ბოლო, რიგგარეშე სხდომაზე, ბიუროს განხილვის გარეშე მაინც გაიტანა და საკრებულომ საბოლოოდ ერთხმად დაამტკიცა.

ხუთი კომისიიდან საკრებულოს სამართლებრივი აქტის მხოლოდ ერთი პროექტი იურიდიულმა კომისიამ წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ ახალციხის საკრებულოში მხოლოდ ამ კომისიას ჰყავს ერთი მოწვეული სპეციალისტი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

ხუთივე კომისიამ ჯამში, საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე 57 დასკვნა მოამზადა.

კომისიების მომზადებული დასკვნების რაოდენობა სამართლებრივი აქტის პროექტის კანონშესაბამისობაზე				
იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	საფინანსო -საბიუჯეტო კომისია	სოციალურ საკითხთა კომისია	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია
16	9	11	6	15

საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:

ახალციხის საკრებულოში მოქმედი 5 ფრაქციიდან, 2020 წელს არცერთი საკითხის ინიცირება არ მომხდარა. მათ მხოლოდ ორი წინადადება ჰქონდათ: „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, არუთუნ აგაბაბიანმა, ივლიტაში სტადიონისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭებაზე და ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარემ, გიორგი ბეროშვილმა, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილისთვის ბექა ჯაყელის სახელის მიჭებაზე, სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას მიმართეს.

ფრაქციების მიერ გაწეული მწირი საქმიანობის ფონზე, შეუსაბამოა მათ ფუნქციონირებაზე გაღებული ხარჯები, რამაც ჯამში 178,934.4 ლარი შეადგინა, კერძოდ:

ფრაქციების საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	
სატელეფონო კომუნიკაცია	2 100.82
საწვავის ღირებულება	27 228.32
სახელფასო ანაზღაურება	149 605. 26

თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად,, საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

ახალციხის მერმა 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში საკრებულოს 14 დეკემბერს წარუდგინა. ამავე სხდომაზე წარმოადგინა 2020 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიში ახალციხის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, გელა ლომიძემაც. ორივე ანგარიში საკრებულომ დადებითად შეაფასა.

2020 წლის ბიუჯეტის განხილვისას საკრებულომ მერიას 6 შენიშვნა გაუგზავნა, მათ შორის საკრებულო ითხოვდა, მაგალითად, მერიის ხარჯების, ასევე, გზების მოვლა-პატრონობის მუხლების შემცირებას. როგორც საკრებულოდან მოწოდებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, მერიამ დეპუტატების შენიშვნები ნაწილობრივ გაითვალისწინა.

2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში სულ 6 ცვლილება შეიტანეს. 6-ვე შემთხვევაში ინიციატორი ახალციხის მერი იყო.

საკრებულოს, კომისიას, ან ფრაქციას აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები რაიმე საკითხის განსახილველად არ მიუწვევია;

საკრებულოს არცერთ წევრს არ მიუმართავს კითხვით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირებისთვის;

საკრებულოში მერისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი არ დამდგარა. საკრებულოს რაიმე სახის გადაცდომა, ინტერესთა კონფლიქტი, თანამდებობრივი შეუთავსებლობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობაში, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არ გამოუვლენია;

საპირისპიროს ამტკიცებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 2020 წლის მაისში გამოქვეყნებული კვლევა, რომლის თანახმადაც, ახალციხის მერის ძმა და რძალი ახალციხის მუნიციპალიტეტის და მისი ააიპ-ების ტენდერებს უკონკურენტოდ იგებენ.

საკრებულოს დარღვევები არც მერიის კონკრეტული სამსახურების, ან ააიპ-ების მუშაობაში გამოუვლენია. **მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის აგვისტოში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ააიპ „საზოგადოებრივის ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის შეუთავსებელ საქმიანობასა და ნეპოტიზმზე, ასევე, ამავე წლის აპრილში, ახალციხეში „ქართული ოცნების“ ყოფილი მაღალჩინოსნის მიერ ბენზინგასამართი სადგურის კანონდარღვევით მშენებლობაზე წერდა**.

თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები

ახალციხის საკრებულოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი დეკლარაციის არასრულად, ხარვეზებით შევსების საკითხი. საკრებულოს 18 თანამდებობის პირიდან (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) დეკლარაცია 5-მა (ვლადიმერ გოგოლაძემ, არუთუნ აგაბაბიანმა, ამბარცუმ ბაბოიანმა, სამველ ოვეიანმა და ვასილ სისვაძემ) არასრულად შეავსო.

გასათვალისწინებელია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს, არის თუ არა კვლევაში ნახსენები კომპანიები აქტიური, რადგან ამ მიზნისთვის საჭირო ინფორმაცია წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას.

კანონმდებლობის მოთხოვნა:

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის” თანახმად, პირი თანამდებობაზე დანიშვნიდან ორი თვის ვადაში ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს დეკლარაცია, ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრთა ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების შესახებ, სამეწარმეო ორგანიზაციებში არსებული საკუთარი წილები მართვის უფლებით გადასცეს სხვა პირს და თანამდებობაზე დანიშვნიდან 10 დღის ვადაში დატოვოს სამეწარმეო ორგანიზაციის დირექტორის, ხელმძღვანელის პოზიცია.

ხარვეზები ახალციხის საკრებულოს თანამდებობის პირების დეკლარაციებში დეტალურად შეგიძლიათ ნახოთ აქ.

თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ახალციხის საკრებულოს რეგლამენტით არ არის დაზუსტებული, საკრებულოს წევრის მიერ სხდომის გაცდენისას რა შემთხვევა ითვლება არასაპატიო მიზეზად. საკრებულოს რეგლამენტი ეყრდნობა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ იგი „არასაპატიო მიზეზით ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში". სხვა შემთხვევებში, შესაბამის კომისიას არ აქვს ვალდებულება, მოსთხოვოს საკრებულოს წევრს გაცდენის მიზეზის მითითება, ან იმსჯელოს გაცდენის საპატიოდ/არასაპატიოდ ჩათვლაზე.

საკრებულოს სხდომების დამსწრეთა სიებში, იმ დეპუტატების შესახებ, რომლებიც სხდომებზე შვებულების, ან მივლინების გამო არ იმყოფებიან, მითითებულია: „იმყოფება შვებულებაში", „იმყოფება მივლინებაში", „იმყოფება თვითიზოლაციაში", შესაბამისად, დანარჩენ შემთხვევებში უნდა ვივარაუდოთ, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა.

მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:

საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომების გაცდენის 136 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 10 არასაპატიო მიზეზით.

ერთი წლის განმავლობაში გამართული 14 სხდომიდან ყველაზე მეტი - 13 „ქართული ოცნების" დეპუტატმა, ტიგრან მელქონიანმა გააცდინა, 10-10 გაცდენით მოყვება მას „ევროპული საქართველოს დეპუტატი, ემანუელ პოზოიანი და „ქართული ოცნების" დეპუტატი, ნოდარ ტალახაძე.

არცერთი სხდომა არ გაუცდენიათ „ქართული ოცნების" დეპუტატებს - გელა ნოზაძეს, ვლადიმერ კურტანიძეს და პეტროს ვართანიანს.

მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:

საკრებულოს კომისიების მიერ გამართულ 36 სხდომაზე 122 გაცდენა დაფიქსირდა და მათ შორის მხოლოდ 2 იყო საპატიო. ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბესიკ გოქსაძე და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, გელა ნოზაძე იმყოფებოდნენ შვებულებაში.

საანგარიშო პერიოდში ***სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ*** 8 სხდომა გამართა და 18 გაცდენა დაფიქსირდა. 5 გაცდენით „ქართული ოცნების" დეპუტატი სამველ ოვეიანი ლიდერობს. ვასილ სისვაძეს და პეტროს ვართანიანს არცერთი სხდომა არ გაუცდენიათ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 9 სხდომა გამართა. ყველაზე ხშირად - 9-ჯერ კომისიის სხდომა „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატმა, კობა სანდროშვილმა გააცდინა. მანანა ბალიაშვილს, ზოია ბალიაშვილს და ვასილ სისვაძეს არცერთი სხდომა არ გაუცდენიათ.

ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიის 6 სხდომაზე 19 გაცდენა დაფიქსირდა. ლიდერი 6 გაცდენით აქაც კობა სანდროშვილია. ვლადიმერ კურტანიძეს არცერთი სხდომა არ გაუცდენია.

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 9 სხდომაზე 22 გაცდენა დაფიქსირდა. 7 გაცდენით „ქართული ოცნების“ დეპუტატი, გიორგი ბეროშვილი ლიდერობს. ვლადიმერ კურტანიძეს, გელა ნოზაძეს, ზაალ ბერიძესა და სიმონ გელაშვილს არცერთი სხდომა არ გაუცდენიათ.

***სოციალურ საკითხთა, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის* 4** სხდომაზე სულ 18 გაცდენა დაფიქსირდა. ლიდერები 4-4 გაცდენით „ქართული ოცნების“ დეპუტატი, კობა გელაშვილი და „ევროპული საქართველოს“ დეპუტატი, ირინა გელაშვილი არიან. ამბარცუმ ბაბოიანს, თამარ გოგოლაძეს და პაიცარ მინასიანს არცერთი სხდომა არ გაუცდენიათ.

თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

2020 წლის განმავლობაში გამართულ საკრებულოს სხდომებს არცერთი მოქალაქე არ დასწრებია. გასულ წლებში ამ მხრივ გამონაკლისი ბიუჯეტების პროექტების საჯარო განხილვები იყო, თუმცა, 2021 წლის ბიუჯეტი ისე დაამტკიცეს, რომ, გარდა დეპუტატებისა, მის განხილვაში არავინ მონაწილეობდა. ბუნებრივია, მიზეზი კოვიდ-პანდემია იყო, თუმცა მოქალაქეების ჩართულობის მიზნით, საკრებულოს შეეძლო რომელიმე აპლიკაცია გამოეყენებინა, ან ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე „ლაივი“ ჩაერთო, თუმცა საკანონმდებლო ორგანოს არცერთი ფორმა არ გამოუყენებია.

მთელი წლის განმავლობაში გამართული 14 სხდომიდან საკრებულომ კანონის მოთხოვნების დაცვით მხოლოდ 6 დააანონსა. როგორც საკრებულოდან გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ, დანარჩენი სხდომების დაანონსება „გადაუდებლად განსახილელი საკითხების გამო ვერ მოხერხდა”.

ახალციხის საკრებულოს არ აქვს დამტკიცებული პეტიციის ფორმა, რაც მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ახალციხის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, რუბრიკაში „ჩაერთე ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ერთ-ერთი განყოფილება პეტიციაა, თუმცა აღნიშნული გვერდი არ მუშაობს.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეების ჩართულობის მიზნით ახალციხის საკრებულოს მიღებული აქვს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ 2018 წლის 7 სექტემბრის N52 დადგენილება;

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 11 ივნისის N44 დადგენილება.

2020 წელს, მოქალაქეების ჩართულობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა, ახალციხეში, აბის დასახლებაში ტრენაჟორებისა და ფანჩატურის მოსაწყობად.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მოწვევის საკრებულოში პირველად, 2020 წლის 12 ნოემბერს, დასახლების საერთო კრების ოქმი განიხილეს. წყალთბილაში მოქალაქეები საკუთარი სახსრებით მუნიციპალიტეტის კუთვნილ მიწაზე კულტურის სახლის აშენებას, შემდეგ კი ბიუჯეტში მისი ფუნქციონირებისათვის თანხის გათვალისწინებას ითხოვდნენ.

თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა

ახალციხის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წელს:

- სამართლებრივი აქტების პროექტებზე ანალიზი არ განუხორციელებია;
- საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა არ განუხორციელებია;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებების მონიტორინგის სისტემა არ შეუმუშავებია;
- არ წარუდგენია წინადადებები და რეკომენდაციები ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ან საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოში.

გენდერული თანასწორობის საბჭოში გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე განცხადებები არ შესულა.

საბჭომ საკრებულოს ანგარიში 2020 წლის დეკემბერში წარუდგინა. მასში ვკითხულობთ, რომ საბჭოს „მუნიციპალიტეტში დანერგილი აქვს გენდერული სტატისტიკის დამუშავების მეთოდოლოგია, თვითმმართველობის შპს და ა(ა)იპ-ებში განხორციელებულია დასაქმებულთა სტატისტიკური შესწავლა, ადმინისტრაციულ ერთეულების დაქვემდებარებულ სოფლებში ჩატარებულია მოსახლეობის რაოდენობრივი კვლევა გენდერულ ჭრილში (ქალი; კაცი), აგრეთვე ჩატარებულია სოფლებში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა, ასევე 2019 - 2020 წლებში ჩატარებულია სოფლის კრებებისა და საპროექტო წინადადებების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში“.

თავი 10. საკრებულოს ხარჯები

სახელფასო ანაზღაურება:

2020 წელს ახალციხის საკრებულოს ხარჯებმა ჯამში 636,711.02 ლარი შეადგინა. ამ თანხიდან ხელფასებისთვის 555,098.77 ლარი გაიწერა, მათ შორის 421,214.56 ლარი საკრებულოს თანამდებობის პირებსა და აპარატის თანამშრომლებზე სახელფასო ანაზღაურების სახით გაიცა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საკრებულოს იმ წევრებისთვის, რომლებიც არ იკავებენ თანამდებობას და, შესაბამისად, არ აქვთ ანაზღაურება, ითვალისწინებს საკრებულოს წევრობისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას, რომლის ჯამურმა ოდენობამაც 17 დეპუტატზე 133,884.21 ლარი შეადგინა.

2020 წელს ახალციხის საკრებულოსა და აპარატში გაცემული შრომის ანაზღაურება	
აპარატის 11 თანამშრომელი	113 809.30 ლარი.
საკრებულოს 18 თანამდებობის პირი	307 405.26 ლარი
საკრებულოს 17 წევრი	133 884.21 ლარი
ჯამი	**555 098.77**

2020 წელს ახალციხის საკრებულოში პრემია/ჯილდო/დანამატი არ გაცემულა.

საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურება

სახელი გვარი	**თანამდებობა**	**შრომის ანაზღაურება**
გელა ნოზაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	42 000 ლარი
იოსებ კაპანაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	25 800 ლარი
ვლადიმერ კურტანიძე	სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე	18 000 ლარი
მანანა ბალიაშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	18 000 ლარი
ვასილ სისვაძე	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე	18 000 ლარი

ამბარცუმ ბაბოიანი	სოციალურ საკითხღა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	18 000 ლარი
ბესიკ გოგსაძე	მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	18 000 ლარი
ჯამი		**157 800 ლარი**

ფრაქციის თავმჯდომარეებზე და მათ მოადგილეებზე გაცემული შრომის ანაზღაურება

სახელი გვარი	**თანამდებობა**	**შრომის ანაზღაურება**
გიორგი გვარამაძე	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე” - თავმჯდომარე	18 000 ლარი
არუთუნ აგაბაბიანი	“ქართული ოცნება-კონსერვატორები”-თავმჯდომარე	18 000 ლარი
გიორგი ბეროშვილი	“ქართული ოცნება-მრეწველები”- თავმჯდომარე	18 000 ლარი
ირინა გელაშვილი	“ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის” - თავმჯდომარე	18 000 ლარი
თამარ გოგოლაძე (22 მაისამდე)	“ქართული ოცნება-მწვანეები” - თავმჯდომარე (22 მაისამდე)	7 105 ლარი
სამველ ოვეიანი (25 აგვისტოდან)	“ქართული ოცნება-ახალციხე” - თავმჯდომარე (25 აგვისტოდან)	6 300 ლარი
ნოდარ ტალახაძე	„ ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე” - თავმჯდომარის მოადგილე	12 000 ლარი

გიორგი ზაქროშვილი	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე” თავმჯდომარის მოადგილე	12 000 ლარი
ალექსი ლაბაძე	“ქართული ოცნება-კონსერვატორები”-თავმჯდომარის მოადგილე	12 000 ლარი
პეტროს ვართანიანი	“ქართული ოცნება-მრეწველები”- თავმჯდომარის მოადგილე	12 000 ლარი
ეკა ტატალაშვილი	“ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის” თავმჯდომარის მოადგილე	12 000 ლარი
არჩილ უჩიძე (25 აგვისტოდან)	“ქართული ოცნება-ახალციხე” - თავმჯდომარის მოადგილე (25 აგვისტოდან)	4 200 ლარი
ჯამი		**149 605. 26**

სამივლინებო ხარჯები

ახალციხის საკრებულოს ოთხი თანამშრომლის მივლინებებზე ქვეყნის შიგნით, საანგარიშო პერიოდში, ჯამში **359** ლარი დაიხარჯა.

ახალციხის 2017 წლის მოწვევის საკრებულოში 2020 წელს მივლინებებზე გაწეული ხარჯი	
გელა ნოზაძე - საკრებულოს თავმჯდომარე	15 ლარი
მანანა ბალიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	45 ლარი
გიორგი ვედიაკოვი - საკრებულოს წევრი	209 ლარი
საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	90 ლარი
ჯამი	**359 ლარი**

სატელეკომუნკაციო ხარჯები:

ახალციხის საკრებულომ სატელეფონო კომუნიკაციაზე 7,712.89 ლარის ხარჯი გასწია.

ახალციხის 2017 წლის მოქვევის საკრებულოში 2020 წელს სატელეფონო კომუნიკაციაზე გაწეული ხარჯი	
საკრებულოს თანამდებობის პირები და წევრები	5 799.97
აპარატის თანამშრომლები	1 912.92
ჯამი	7 712.89

ავტომობილები და საწვავის ხარჯები:

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გამოყოფილი ორი ავტომობილით სარგებლობენ საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესყიდულ საწვავს კი საკრებულოს ყველა თანამდებობის პირი საკუთარი მანქანებისთვის იყენებს. არ იყენებდა მხოლოდ ორი დეპუტატი: ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხეს" თავმჯდომარის მოადგილე, ნოდარ ტალახაძე და ფრაქცია "ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარე, თამარ გოგოლაძე (ვიდრე მისი ფრაქცია დაიშლებოდა). საანგარიშო პერიოდში მათზე საწვავი არასდროს გაცემულა.

ასევე, საკრებულოში არის მორიგე ავტომობილი, რომლით სარგებლობაც ნებისმიერ თანამდებობის პირს შეუძლია.

ჯამში ახალციხის საკრებულომ **36,045.87** ლიტრი საწვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **64,681.26 ლარი** ლარი შეადგინა.

გახარჯული საწვავის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ აქ.

საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების შეკეთება-რეაბილიტაციისთვის 2020 წელს **8,859. 10** ლარი გაიხარჯა.

რეკომენდაციები

კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზედამხედველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კონტროლის მექანიზმებს, გადადგან ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფო შესყიდვების პროცესის, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველობის მიზნით;

- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის ზედამხედველობის სფეროში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;

- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.

საკრებულოს სხდომები:

- ახალციხის საკრებულომ უნდა დახვეწოს მუშაობის საორგანიზაციო მხარე, შეამციროს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა, ასევე, კანონის შესაბამისად, დააანონსოს ყველა სხდომა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელი ეშლება მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას, ინტერესთა ჯგუფების მობილიზებას, სხდომაზე განსახილველი საკითხებისთვის მომზადების შესაძლებლობას, სათათბირო ორგანოს გამჭვირვალობას.

ანგარიშვალდებულება:

- საკრებულოს, ისევე როგორც კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრების მდგომარეობა საგრძნობლად უნდა გაუჯობესდეს. მიგვაჩნია, რომ საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდნენ სხდომებს. ამასთან, საკრებულოს თითოეული წევრის მხრიდან სხდომის გაცდენის საპატიო თუ არასაპატიო მიზეზები უნდა იყოს გამორკვეული და სათანადო ღონისძიებებიც გამოყენებული.

- თანამდებობის პირთა დეკლარაციები გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად შეავსონ.

ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის, ფრაქცია აქტიურად უნდა ჩაერთოს საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხილვისა თუ გადაწყვეტის პროცესში, შეისწავლოს/გააკონტროლოს მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობა; წარსდგეს საკრებულოში ინიციატივებით, აქტიურად ჩაერთოს ბიუჯეტირების პროცესში და ა.შ. ფრაქციები მნიშვნელოვნად ზრდიან თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას, მხარს უჭერენ ადგილობრივ ინიციატივებს, აგრეთვე მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებას. შესაბამისად, მოვუწოდებთ ფრაქციებს, აღნიშნული ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ;

საკრებულოს ხარჯები:

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მიერ გაწეული ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან;

- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორიენტირებული იყოს ფინანსური რესურსების ეკონომიაზე.

დასახლების საერთო კრება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს დასახლების საერთო კრება წარმოადგენს, მისი მოწვევის უფლება აქვს როგორც ამომრჩევლებს, ასევე მუნიციპალიტეტის მერს საკუთარი ინიციატივით ან საკრებულოს შუამდგომლობით.

- რადგანაც ახალციხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივების ინიციატივით, დასახლების საერთო კრება მხოლოდ ერთხელ ჩატარდა, მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს ინიციატივით ამოქმედდეს ჩართულობის ეს მექანიზმი, მიმართოს მერს მისი ჩატარების შუამდგომლობით. დასახლების საერთო კრების ჩატარება მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმად.